თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების არჩევისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიაქციოთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს!

- მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელი დარგის ან მიმართულების ბაკალავრის ხარისხია საჭირო თქვენთვის სასურველ სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებლად და აკმაყოფილებს თუ არა თქვენი საბაკალავრო კვალიფიკაცია პროგრამის აღნიშნულ წინაპირობას.

- გარდა საერთო წინაპირობებისა (ერთიანი სამაგისტრო გამოცდა), თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებად საჭიროა სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება პროგრამის აღწერილობაში მითითებულ დისციპლინაში. გამოცდის ფორმა წერითია. საგამოცდო საკითხები სასწავლო- სამეცნიერო ლიტერატურის სიასთან ერთად პროგრამის აღწერილობას თან ერთვის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. საგამოცდო საკითხებთან ერთად მოცემულია ასევე საგამოცდო ბილეთის ფორმირების წესიც.

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) მინიმუმ B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე მაგისტრანტმა უნდა გაიუმჯობესოს უცხოური ენის ცოდნა B2 დონემდე, რისთვისაც სამაგისტრო პროგრამები გთავაზობთ შესაბამისი უცხოური ენების დარგობრივ ორსემესტრიან კურსებს; სამაგისტრო პროგრამაზე შემოსვლისთანავე უცხოური ენის B 2 დონეზე ცოდნის დადასტურების შემთხვევაში კი უცხოური ენების დარგობრივი ორსემესტრიანი კურსების გავლის ვალდებულებისგან თავისუფლდებით).

თსუ ენების ცენტრის მიერ ორგანიზებული მაგისტრატურაში მისაღები უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) საგამოცდო ტესტების ნიმუშების ნახვა ასევე შესაძლებელია წინასწარ.

რამდენიმე სამაგისტრო პროგრამას უცხოური ენის B 2 დონეზე ცოდნის დადასტურება აქვს წინაპირობით მოთხოვნილი გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (მაგ., სამაგისტრო პროგრამებზე: ინგლისური ფილოლოგია; თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები; ამერიკანისტიკა;

სკანდინავისტიკა – ინგლისური B 2; სამაგისტრო პროგრამაზე: გერმანული ფილოლოგია – გერმანული B 2; რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფრანგული ფილოლოგიის მოდულზე – ფრანგული B 2 ; სამაგისტრო პროგრამაზე: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა – ინგლისური/ გერმანული B 2).